

შპს გროს ენერჯი ჯგუფი

2018 წლის ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

სრული შემოსავლების ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

შპს გროს ენერჯი ჯგუფი

სრული შემოსავლების ანგარიშგება 01.01.2018 - 31.12.2018 პერიოდისთვის

მოგება-ზარალის ანგარიშგება	2018
ამონაგები	2,649,932
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	107,393
საერთო მოგება	2,757,325
დასაქმებულთა ანაზღაურება	(1,763,109)
ადმინისტრაციული ხარჯი	(1,400,310)
იჯარის ხარჯი	(76,219)
სხვა შემოსავალი/ხარჯი	36,393
ცვეთა და ამორტიზაცია	(191,360)
ფინანსური ხარჯი	(37,984)
მოგება დაბეგვრამდე	(675,264)
მოგების გადასახადის ხარჯი	-
წმინდა ზარალი/მოგება	(675,264)

ა. ბერიშვილი

შპს გროს ენერჯი ჯგუფი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2018-ის პერიოდისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	31-დეკ-18	01-იან-18
აქტივები		
მიმდინარე აქტივები		
ფულადი სახსრები	34,056	226,855
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	572,217	199,519
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	282,087	359,455
სხვა მიმდინარე აქტივები	296,894	103,549
სულ მიმდინარე აქტივები	1,185,255	889,377
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	1,467,886	1,339,227
სხვა გრძელვადიანი აქტივები	487,382	467,382
სულ გრძელვადიანი აქტივები	1,955,268	1,806,609
სულ აქტივები	3,140,523	2,695,985
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		
მიმდინარე ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,987,200	1,827,785
ვალდებულებები პერსონალის წინაშე	86,144	10,032
სესხის მიმდინარე ვალდებულება		
ფინანსური იჯარის მიმდინარე ვალდებულება	230,052	199,762
სულ მიმდინარე ვალდებულებები	3,303,396	2,037,579
გრძელვადიანი ვალდებულებები		
სასესხო ვალდებულება		
საგადასახადო ვალდებულება	125,776	138,791
ფინანსური იჯარის ვალდებულება	-	177,358
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	125,776	316,149
სულ ვალდებულებები	3,429,172	2,353,728
საკუთარი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	386,615	386,615
გაუნაწილებელი მოგება	(675,264)	(44,358)
სულ საკუთარი კაპიტალი	(288,649)	342,257
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	3,140,523	2,695,985

ა. ბერიძე

შპს გროს ენერჯი ჯგუფი

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 01.01.2018 - 31.12.2018 პერიოდისთვის

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31 დეკემბერი, 2017	386,615	(44,358)	342,257
პერიოდის ზარალი	-	(630,906)	(630,906)
კაპიტალის ზრდა	-	-	-
31 დეკემბერი, 2018	386,615	(675,264)	(288,649)

ა. ბერიძე

შპს გროს ენერჯი ჯგუფი სააღრიცხვო პოლიტიკა

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს გროს ენერჯი ჯგუფის, (რეგისტრაციის ადგილი: საქართველო, მისამართი ვ. დოლიძის N 24, თბილისი) ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საინჟინრო საკონსულტაციო მომსახურების გაწევა.

კომპანიის დირექტორი: ანგული ტყეშელაშვილი

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულებში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგები მომსახურების გაწევიდან მაშინ აღიარდება, როდესაც დამკვეთს ჩაბარდება სამუშაო და გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი და სხვა პირდაპირი ხარჯებით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნაშთის შემცირების მეთოდით. ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- ავეჯი და სხვა ინვენტარი - 20%
- არამატერიალური აქტივები - 20%
- იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა - 15%
- მანქანა-დანადგარები - 20%
- ოფისის აღჭურვილობა - 20 %
- სატრანსპორტო საშუალებები - 20 %

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები წარმოდგენილია თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

არამატერიალური აქტივებისთვის ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში შემცირებადი ნაშთის მეტოდიით.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის/კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე

ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სესხით სარგებლობის დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები, აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალში, როდესაც გაწეულიქნა.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესითანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალოშეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მომსახურების/საქონლის მიწოდება ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

საგარო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოები

ადმინისტრაციისათვის გასამრჯელოები ფიქსირებულია და არ იცვლება, თუ არ მოხდა მათი გასამრჯელოს მატების ან ერთჯერადი წახალისებისთვის, თანხის დამატების გადაწყვეტილების მიღება.

გასამრჯელოები გადაიხდება ყოველთვიურად.

განმარტებითი შენიშვნები:

	2018
ამონაგები მომსახურებიდან	2 649 932

მომსახურების გაწევა ხდება ძირითადად ორგანიზაციებზე. ნეტო ამონაგები მოიცავს 18% დღგ-ით დასაბეგრ და 0%-ით დღგ-ით დასაბეგრ ბრუნვებს.

	2018
ამონაგები მომსახურებიდან	1 763 109

დასაქმებულთა ანაზღაურება მოიცავს როგორც სახელფასო, ასევე საბონუსე განაცემებს.

	2018
იჯარის ხარჯი	76 219

იჯარის ხარჯი აღიარდება მოგება ზარალში პერიოდის ხარჯად.

	2018
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	1400 310

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი მოიცავს: კომუნიკაციის, კომუნალურ, სამივლინებო, ავტომანქანის შენახვის , სამეურნეო , დაზღვევის, დაცვის და სხვა საერთო ხარჯებს.

	2018
საპროცენტო ხარჯი	36 637

საპროცენტო ხარჯი წარმოადგენს ფინანსური იჯარის ფარგლებში გაწეულ საპროცენტო ხარჯს.

	2018	2017
სავაჭრო მოთხოვნები	572 217	199 518

სავაჭრო მოთხოვნები წარმოქმნილია ადგილობრივი მიწოდებიდან.

	2018	2017
გადახდილი ავანსები	227 524	357 297

გადახდილი ავანსები მოიცავს და სხვა საოპერაციო მომსახურების წინასწარ ანაზღაურებულ თანხებს.

	2018	2017
სხვა მიმდინარე აქტივები	284 575	103 549
აქტივები		

სხვა მიმდინარე აქტივები მოიცავს მოთხოვნებს საწარმოს პერსონალის მიმართ, ტენდერში მონაწილეობისთვის განკუთვნილ საგარანტიო თანხებს და ასევე ავანსზე გადახდილ დღ-ს გადასახადებს.

	2018	2017
სხვა არამატერიალური აქტივები	13 434	6 940

არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენს კომპიუტერული და

საბუღალტრო პროგრამები.

	2018	2017
ძირითადი საშუალებები	1 454 452	1 332 287

ბალანსზე არსებული ძირითადი საშუალებები შემცირებულია დაგროვილი ცვეთით და ნაჩვენებია საბალანსო ღირებულებით.

	2018	2017
სავაჭრო ვალდებულებები	2 987 200	1 825 739

სავაჭრო ვალდებულებები წარმოშობილია ადგილობრივი შესყიდვებიდან და აგრეთვე არარეზიდენტის მიერ მოწოდებული მომსახურების, საქონლის და/ან ძირითადი საშუალებების შეძენიდან.

	2018	2017
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	230 050	199 760

მიმდინარე სასესხო ვალდებულებები მოიცავს სალიზინგო კომპანიისგან მიღებული

ფინანსური იჯარის გრძელვადიანი ვალდებულების მიმდინარე წილს.

20. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია

2019 წლის 1 ოქტომბერს.